დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №91 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილება შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 29 ნოემბრის №139456, 2023 წლის 1 მაისის 13974 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურა

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში საგანამანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების განსაზღვრის წესი3

მუხლი 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა 6

მუხლი 4. კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვებები 7

მუხლი 5. პროცესში ჩართული პირები 7

მუხლი 6. პროცესების შეფასება და შედეგების გამოყენება 8

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროცედურის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა ჩარიცხვით არსებული ნიშნულების კონტროლი და უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტების საერთო რაოდენობის გადაჭარბების პრევენცია; რეგულაცია ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მდგრადობას და სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას.

2. უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას ამტკიცებს ავტორიზაციის საბჭო;

3. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:

ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – ავტორიზაციის ვადით;

ბ) სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში – ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა/სტუდენტთა მიღება სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

5. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა მოიცავს სამაგისტრო/საბაკალავრო/ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო აკადემიურ პროგრამებს და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობას.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში საგანამანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ვაკანტური ადგილების განსაზღვრის წესი

1. უნივერსიტეტი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტისთვის დამტკიცებული სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

2. შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ აბიტურიენტთა/სტუდენტთა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამების მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის მონაცემების, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ფაქტობრივი მონაცემების,

შესაბამისი წლის პოტენციური დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების მიზნით გაცემული თანხმობების რაოდენობის გათვალისწინებით.

3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა უნივერსიტეტში დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

5. ერთიანი ეროვნული გამოცდის/საერთო სამაგისტრო გამოცდის, მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებით უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება:

ა) ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტთა მიღების მიზნით უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავს საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, ინტეგრირებულ და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას;

ბ) უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის პირველი დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონული ფორმით ავსებს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს, სადაც განსაზღვრულია მომდევნო წლისთვის მისაღები საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

გ) უნივერსიტეტი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას.

დ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უნივერსიტეტი შესაბამის პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წლის 15 თებერვლამდე აცხადებს აპლიკანტთა მიღებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების გამოცხადება:

ა) ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტთა მიღების მიზნით უნივერსიტეტი აბიტურიენტთა ჩარიცხვის წლის წინა წლის 10 დეკემბრამდე განსაზღვრავს მომდევნო წლისთვის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ბ) უნივერსიტეტი უფლებამოსილია გასცეს თანხმობა/მოწვევა და განახორციელოს ჩარიცხვა ამ კატეგორიას დაქვემდებარებულ აბიტურიენტებზე.

7. ამ პროცედურის მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტით განსაზღვრული ადგილების გამოცხადების, ასევე, მობილობით მისაღები სტუდენტების ადგილების გამოცხადების დროს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს:

ა) უნივერსიტეტისთვის დადგენილი მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობით;

ბ) შპს ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით რესურსების შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილი სტუდენტთა რაოდენობებით;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის ფაქტობრივი მონაცემებით აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების შესახებ;

დ) შესაბამის წელს პოტენციური კურსდამამთავრებლების რაოდენობით, რომლებსაც მიენიჭება კვალიფიკაცია სტუდენტების ახალი ნაკადის მიღებამდე;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა მიღების მიზნით გაცემული იმ თანხმობების რაოდენობით, რომელთა საფუძელზეც ჯერ არ განხორციელებულა ჩარიცხვა.

8. სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაჭარბების პრევენციის მიზნით, მომდევნო წლისათვის სტუდენტთა ადგილების განსაზღვრის დროს უნივერსიტეტი აანალიზებს წინა წლების პრაქტიკას სტუდენთა გადინების, სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის დინამიკას.

9. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო კვოტის ფარგლებში მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის პროცესს კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

10. კონკრეტული წლისთვის უნივერსიტეტის მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანების მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად და განსაზღვრული რაოდენობები წარედგინება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.

11. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კოორდინაციას უწევს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვას დაქვემდებარებულ პირებზე თანხმობის გაცემის და სტუდენტების ჩარიცხვის პერიოდისთვის სტუდენტთა საერთო კვოტის ფარგლებში არსებულ მდგომარეობას.

12. ფაკულტეტზე ახალი საგანამანათლებლო პროგრამის დამატების ან/და მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მიმდინარე წლისთვის განსაზღვრული მისაღები კონტინგენტის რაოდენობა, შესაბამისი წლისთვის მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში და რესურსების გათვალისწინებით, შესაძლებელია დაკორექტირდეს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა

უნივერსიტეტი ვალდებულია:

1. შესაბამის საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის და ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ჩარიცხოს აბიტურიენტი.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგების საფუძველზე და მაგისტრანტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესაბამისი კვოტის ფარგლებში ჩარიცხოს მაგისტრანტობის კანდიდატი.

3. ჩარიცხოს მობილობის წესით უნივერსიტეტში გადმოსული ის სტუდენტები, რომლებმაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პორტალის მეშვეობით სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ევროპის უნივერსიტეტში, წარმოადგინეს უნივერსიტეტში შესაბამისი დოკუმენტაცია, დააკმაყოფილეს უნივერსიტეტის მიერ ჩარიცხვისთვის დადგენილი შიდა პროცედურები, განაცხადეს თანხმობა აღიარებული კრედიტების თაობაზე და მიიღეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნა.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდის/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისი პროცედურების დაცვით ჩარიცხოს პირი, რომელზეც გაცემულია თანხმობა/მოწვევა და გაიარა უნივერსიტეტის შიდა გასაუბრება/გამოცდა და დაადასტურა პროგრამის შესაბამისი სწავლების ენობრივი კომპეტენცია.

5. ამ მუხლით განსაზღვრული ჩარიცხვის დროს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს უნივერსიტეტის საერთო მაქსიმალურ კვოტას.

მუხლი 4. კანონმდებლობით გათვალისწინებული დაშვებები

1. უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

3. ამ წესის მე - 3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ვაკანტური ადგილი, დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი მობილობის მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება დაწესებულებისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

მუხლი 5. პროცესში ჩართული პირები

პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის პროცესში და მონიტორინგის პროცედურებში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და პირები:

ა) ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ე) ფაკულტეტის დეკანები;

ვ) პროგრამის ხელმძღვანელები;

ზ) იურიდიული სამსახური;

თ) ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები;

ი) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

მუხლი 6. პროცესების შეფასება და შედეგების გამოყენება

1. პროცესების პერიოდულ და საბოლოო შეფასებას ახორციელებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

2. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით რეესტრის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში მონიტორინგს ახორციელებს:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები აბიტურიენტების რაოდენობის გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;

ბ) მობილობის წესით მისაღები სტუდენტების რაოდენობის გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;

გ) სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;

დ) მასწავლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა ადგილების გამოცხადების და ჩარიცხვის პერიოდისთვის;

ე) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა თანხმობის გაცემისა და ჩარიცხვის პერიოდისთვის.

3. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით აღნიშნული ეტაპების მონიტორინგის პროცესში ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით სტუდენტთა საერთო კონტინგენტის გადაჭარბების რისკების დადგომის შემთხვევაში მყისიერად მიმართავს რექტორს

მიმდინარე წლისთვის განსაზღვრული მისაღები სტუდენტების კვოტის ფარგლებში ცვლილების განხორციელების თაობაზე.